სკოპინგის დასკვნა N3

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდა);

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ევროცემენტი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კავთისხევი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 26.11.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „BS Group“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ევროცემენტის“ ის მიერ, წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტში სოფელ კავთისხევში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში.

2018 წლის 12 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2- 551).

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდა) 2024 წლის 5 ივლისს გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N343/ს) რომლის საფუძველზეც დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2019 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ევროცემენტის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, რის საფუძველზეც საწარმოში გამოვლენილ დარღვევებზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 57^1 -ე მუხლისა და 79^8 -ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №056586 და №056587 ოქმები, რომლებიც ადმინისტრაციული წარმოების მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეგზავნა გორის საქალაქო სასამართლოს. სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის №4/12-20 დადგენილებით, კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და განესაზღვრა ჯარიმა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „ევროცემენტის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიას არ ქონდა

შესრულებული დეპარტამენტის 2021 წლის 7 აპრილის №001906 ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვალდებულებები. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №065155 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს. სასამართლოს 2021 წლის 20 დეკემბრის №4/135-2021 დადგენილებით, კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ევროცემენტის“ მიმართ შემუშავებული იქნა დეპარტამენტის 2022 წლის 20 მაისის №002346 ადმინისტრაციული მიწერილობით კომპანიას განესაზღვრა გონივრული ვადები.

2018 წლის 12 ივლისს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა (ბრძანება №2- 551) და გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილი იყო შპს „ევროცემენტის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.08.32.001; ფართობი 35000 $მ^2$). თუმცა, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმო მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.08.32.002; ფართობი 20 000 $მ^2$). უახლოესი მოსახლე საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 640 მ-ით. საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში მდებარეობს მეცხოველეობის ფერმები: შპს „ახალი ფერმა“ (ჩრდილო-აღმოსავლეთით 240 მეტრში) და შპს „ფემილ ფარმი“ (სამხრეთ-დასავლეთით 450 მეტრში). საწარმოს ჩრდილო-აღმოსავლეთით 170 მეტრში ფუნქციონირებს სამშენებლო ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმო შპს „ვიქტორია“. ჩრდილოეთით, დაახლოებით 520 მეტრში ფუნქციონირებს შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმო. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი, მიედინება საწარმოს ტერიტორიიდან დაახლოებით 400 მეტრში.

საწარმოში დამონტაჟებულია **ბურთულებიანი საფქვავი წისქვილი** (სიგრძე - 13 მეტრი, დიამეტრი - 1.6 მეტრი, წისქვილის შიდა საერთო მოცულობა - 26 $მ^3$) და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შემდეგი ტიპის ტექნოლოგიური დანადგარები: **სასაწყობე ნაგებობა** (საერთო ფართობი - 220$მ^2$, საიდანაც კლინკერისთვის გამოყოფილი ფართობია - 170 $მ^2$, ღორღისათვის - 25 $მ^2$, დანამატებისათვის - 25 $მ^2$), **ხიდურა ამწე** (სიგრძე - 15 მეტრი, სიგანე - 5 მეტრი, სიმაღლე - 9.5 მეტრი), **წისქვილის საერთო ბუნკერი** (სიმაღლე - 4 მეტრი), **ორი ლენტური ტრანსპორტიორი** (პირველის პარამეტრები: სიგრძე - 2.7 მეტრი, სიგანე 1 მეტრი; მეორის პარამეტრები: სიგრძე - 15 მეტრი, სიგანე 0.48 მეტრი), **წისქვილის ბუნკერი** (სიმაღლე 2.5 მეტრი), **ოთხი სილოსი** და **სახელოიანი ფილტრის გაფრქვევის მილი** (სიმაღლე 20 მეტრი, დიამეტრი 0.9 მეტრი).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება გულისხმობს საწარმოს სამუშაო რეჟიმის უცვლელად (წელიწადში 300 დღე, დღე-ღამეში 16 საათი), ობიექტის წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდას. ანგარიშის თანახმად,

საწარმოში ფუნქციონირებს 18 ტ/სთ წარმადობის წისქვილი, რომლის პარამეტრების გათვალისწინებით, ბურთულების ბრუნვის სიჩქარის ცვლილების ხარჯზე შესაძლებელია წისქვილის წარმადობამ მიაღწიოს 35 ტ/სთ-ს (168000 ტ/წელ). ცემენტის წარმოებისთვის გამოყენებული იქნება: კლინკერი - 141120 ტ (84%), ღორღი - 16800 ტ (10%), სხვა დანამატები (ცეოლითი, თაბაშირი) - 10080 ტ (6%). ამასთანავე, ამჟამად იწარმოება M-300 და M-400 მარკის ცემენტი, ხოლო ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია M-500 მარკის ცემენტის წარმოებაც.

დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე შეტანილი კაზმის დასაწყობება ხდება გადახურულ, ოთხივე მხრიდან დახურულ ნაგებობაში, რომელსაც ერთ-ერთ მხარეს გააჩნია გორგოლაჭებზე მოძრავი კარი, კაზმის ავტოტრანსპორტით მიღებისთვის. საწყობიდან კაზმის ბუნკერებში იყრება ხიდურა ამწის საშუალებით, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით გადადის წისქვილის საფქვავ დანადგარში. საფქვავ დანადგარში მიღებული ცემენტის ჩაყრა მოხდება ჰერმეტულ, ორ მტვერდამჭერ ბუნკერში, საიდანაც წარმოქმნილი მტვერი გამწოვი ვენტილატორის მოქმედებით წარიტაცება სახელოიან ფილტრში, ხოლო ცემენტი ჩაიყრება მიწისქვეშა ბუნკერში. მიწისქვეშა ბუნკერიდან ცემენტი 27.3 მ^3/წთ წარმადობის პნევმოტრანსპორტით გადაადგილდება ცემენტის ოთხ სილოსში (თითოეულის მოცულობა 200 მ^3). სილოსებიდან ცემენტის ჩაყრა მოხდება ცემენტმზიდებში და გატანილი იქნება ტერიტორიიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები. წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვისათვის გამოყოფილია კაპიტალური ნაგებობა, სადაც ხდება ნარჩენების დროებით სეპარირებულად დასაწყობება. ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს, ხოლო მუნიციპალური ნარჩენები განთავსდება ნაგავსაყრელზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ტერიტორიის მოსარწყავად. წყლის შემოტანა გათვალისწინებულია ცისტერნებით, რომელიც გროვდება არსებულ რეზერვუარებში. ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენება არ ხდება, შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. რაც შეეხება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებს, მათი ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ორმოში და შემდგომ გატანილი იქნება შესაბამისი სამსახურის მიერ. დოკუმენტის თანახმად, ვინაიდან, ტექნოლოგიურ ციკლის ჩართული და დამხმარე ინფრასტრუქტურა ძირითადად განთავსებულია დახურულ შენობა-ნაგებობაში, არ მოხდება სანიაღვრე წყლების დაბინძურება.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობისა (ნულოვანი) და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები. წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოს განთავსების ტერიტორიის შერჩევა მოხდა მისასვლელი გზებისა და საჭირო კომუნიკაციებისა და წარმოებისთვის საჭირო დანადგარების არსებობის გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ცემენტისა და არაორგანული მტვრის წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ანგარიშში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 10 წყარო. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ბურთულებიან წისქვილზე დამონტაჟებულია სახელოიანი ფილტრი (24 ცალი სახელოთი) 99,9%-იანი ეფექტურობით. ფილტრში დაჭერილი მტვერი ბრუნდება მტვერდამჭერ კამერაში, საიდანაც გადაადგილდება სილოსებში. სილოსებიდან ცემენტის მტვრის გაფრქვევას ადგილი აქვს სილოსებზე დამონტაჟებული ერთი საერთო კასეტური ფილტრიდან (საერთო მტვერდაჭერით 99,8%). ანგარიშში მოცემული გაანგარიშების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას უახლოეს რეცეპტორთან.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების სტაციონარულ წყაროს წარმოადგენს საწარმოში მოქმედი დანადგარები: ბურთულებიანი წისქვილი, ლენტური ტრანსპორტიორი და საერთო კომპრესორი. დოკუმენტაციის მიხედვით, მაქსიმალური ხმაურის წარმოქმნის პირობებში, ხმაურის ჯამური დონე საპროექტო ტერიტორიაზე წარმოადგენს 74,3 დბა-ს. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ხმაურის გავრცელების შემცირებისთვის შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ანთროპოგენური გავლენის მქონე ზონაში, სადაც არ ფიქსირდება ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები. ამასთანავე, ექსპლუატაციის ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობა დაკავშირებული არ იქნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედებასთან. ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების არსებობის ნიშნები არ ფიქსირდება. ამასთანავე, საწარმოს ტერიტორია არ წარმოადგენს ტყით დაფარულ არეალს, ასევე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების და ზურმუხტის ქსელის სიახლოვეს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის

გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა 2024 წლის 19 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში და სოფ. მიქელწყაროს რიტუალების სახლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „BS Group“-ის, შპს „ევროცემენტის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე ყურადღება გამახვილდა სოფლის შიდა გზებზე სატრანსპორტო ნაკადების ზრდით გამოწვეულ ზემოქმედებაზე, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე და მტვრის გავრცელებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საწარმოს ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედება ასევე შეფასებული უნდა იყოს მიმდებარე სოფლებთან (სოფ. ხანდაკი და სოფ. მირიანი) მიმართებაში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები გააკეთა შპს „ევროცემენტის“ წარმომადგენელმა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვების ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული,ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. <u>გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში,მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).</u>

5. <u>გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:</u>

- არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის დეტალური აღწერა;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- მიმდინარე და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ადგილების აღწერა-დახასიათება, საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით) და რუკაზე ასახვით;
- საწარმოს საქმიანობის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა (ნედლეულის მიღებიდან, მის გადამუშავებამდე), ასევე საწარმოში არსებული ან/და მოსაწყობი ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ დეტალური ინფორმაცია (დანადგარების საპასპორტო მონაცემების მითითებით) გენ-გეგმაზე ასახვით (ასევე, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საწარმოო ხაზები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები, მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროები);

- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლებისა და სამუშაო რეჟიმის შესახებ (გზშ-ის ანგარიშის, არსებული მდგომარეობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);
- ინფორმაცია საწარმოში წარმოებული პროდუქციის (ტიპისა და საათური, დღიური, წლიური რაოდენობების მითითებით) შესახებ (გზშ-ის ანგარიშის, არსებული მდგომარეობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილებისა და პირობების, ასევე ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ (გზშ-ის ანგარიშის, არსებული მდგომარეობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით), შესაბამისი სამოძრაო მარშრუტებისა და მოძრაობის გეგმა-გრაფიკის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით);
- ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე ინფორმაცია მშრალ ამინდებში საწარმოს ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ. ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- ინფორმაცია საწარმოს ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირითა ან/და სხვა კომუნიკაციებით მომარაგების შესახებ (გამოსაყენებელი რაოდენობების მითითებით);
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- საწარმოს წყალმომარაგების შესახებ დეტალური ინფორმაცია (გამოსაყენებელი წყლის რაოდენობის მითითებით);
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე, მათ შორის სანიაღვრე და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების წარმოქმნისა და მართვის შესახებ;
- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, ასევე საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს

ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობით მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
- ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების, მათ შორის საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული საკითხების გათვალისწინების შესახებ.

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- **მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:**
    - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, ასევე გაბნევის ანგარიში;
    - დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის აირმტვერდამჭერი სისტემის ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემების, ეფექტურობის, ტექნიკური გამართულობის კონტროლის, პარამეტრების დაცვის, მათ შორის სახელოიანი ფილტრების დროული გამოცვლისა და მტვერდამჭერში დაგროვილი მტვრის მართვის შესახებ;
    - ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების დადგენის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიიდან 500 მეტრიანი რადიუსის მანძილზე არსებული ობიექტების მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები;
    - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების დეტალური შეფასების მიზნით დაზუსტებული და გათვალისწინებული უნდა იყოს ცემენტის წარმოებისას მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, მათ მიერ

გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა შემადგენლობა და რაოდენობრივი მონაცემები;

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის/გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს და სტანდარტის მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;

- დეტალური ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. წარმოდგენილი უნდა იქნეს ხმაურის გაანგარიშება/მოდელირება, გამოყენებული მეთოდის/ფორმულის მითითებით. გაანგარიშების შედეგად გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ხმაურწარმომქმნელი ობიექტების ხმაურის დონეები, ასევე გარემო ფაქტორები, რაც მოქმედებს ხმაურის გავრცელების დონეებზე (ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა, ჰიფსომეტრიული და სხვა ბარიერები). გზშ-ის ანგარიშში ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია გაანგარიშების შედეგების - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტთან შესაბამისობის შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები, შესაბამისი დასაბუთებით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- ინფორმაცია ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ;
- ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე. ამასთან, დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრის შემთხვევაში ღრმა ფენებში გავრცელებისა და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;

- ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- **კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული ან/და საპროექტო ობიექტების პროფილის, ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით), ასევე კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;**
- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე (არსებობის შემთხვევაში);
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- 2018 წლის 12 ივლისს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა (ბრძანება №2- 551) და გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილი იყო შპს „ევროცემენტის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.08.32.001; ფართობი 35000 მ^2). ხოლო, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმო მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.08.32.002; ფართობი 20 000 მ^2). გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშში ს/კ: 67.08.32.001 მიწის ნაკვეთი განხილულია საპროექტო ტერიტორიის ალტერნატივებში, რომელიც არ იქნა შერჩეული. ამასთან, ანგარიშში არ არის განმარტებული №2-551 ბრძანებით გაცემულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში მოცემული საპროექტო ტერიტორიის ცვლილების თაობაზე, რაც საჭიროებს განმარტებასა და საფუძვლიან დასაბუთებას;

- გარდა ამისა, 4.2. ქვეთავში („საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები“) საწარმოს განთავსების ალტერნატიულ ვარიანტებში განხილულია ს/კ 67.08.32.002 და ს/კ 67.08.32.001 მიწის ნაკვეთები. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ნაკვეთები მდებარეობს ერთმანეთის მიჯნაზე, ამასთან, ალტერნატივების ანალიზში უარყოფილ იქნა 2018 წლის 12 ივლისს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2- 551) შპს „ევროცემენტის“ საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციისას შერჩეული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 67.08.32.001), გზშ-ის ეტაპზე განხილული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის გონივრული ალტერნატიული ვარიანტები;
- ცხრილში 2.1. მოცემული ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატები არასწორია და საჭიროებს კორექტირებას;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „სახელოიანი ფილტრის გაფრქვევის მილზე დამონტაჟდება უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის დანადგარი.“ ხოლო, სოფ. კავთისხევში ჩატარებულ საჯარო განხილვაზე შპს „ევროცემენტის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ჰაერის ხარისხის უწყვეტი მონიტორინგის ავტომატური აპარატი, რომელიც დამონტაჟებულია მათ საწარმოში, ელექტროენერგიის გათიშვის შემდეგ წყვეტს მუშაობას, რაც იწვევს გზდ-ის მიერ საწარმოს დაჯარიმებას.“ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის მოწყობის საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშის 5.3. ქვეთავში აღნიშნულია, რომ „საწარმოს ექსპლუატაციისას ხმაურწარმომქმნელი წყაროების ერთდროული მუშაობის პირობებში უახლოესი მოსახლის საზღვარზე ხმაურის დონე არ გადააჭარბებს საქართველოს მთავრობის №398 დადგენილებით დადგენილ სიდიდეს.“ ამასთან, დანართში 5.2. მოცემული ინფორმაციის თანახმად, უახლოეს მოსახლესთან (GPS კოორდინატები X-456611, Y-4638860) ხმაურის დონე შეადგენს 54.3, რაც №398 დადგენილების შესაბამისად აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი და ხმაურით გამოწვეული (მათ შორის კუმულაციური) ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- ანგარიშის თანახმად, შემოტანილი ნედლეულის დასაწყობება ხდება გადახურულ ნაგებობაში, თუმცა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ნედლეულის ნაწილი დასაწყობებულია ღია ცის ქვეშ. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში აისახოს 2018 წლის 12 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება №2- 551) ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას საწარმოში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის გამოვლენილი დარღვევების, განსაზღვრული გონივრული ვადებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ცხრილის სახით);

- 2018 წლის 12 ივლისის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-551) განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ **დეტალური ინფორმაცია** (განხილული იქნეს თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი);
- დაზუსტებას საჭიროებს მუნიციპალური ნარჩენების ქ. თბილისის ნაგავსაყრელზე განთავსების საკითხის შესახებ ინფორმაცია;
- **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნა.**

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ევროცემენტის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე, რომელიც ეხება სოფ. კავთისხევში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდა), **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოპოვებული, შესწავლილი ინფორმაციისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.